



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გერმანულსა და ფრანგული ენების დეპარტამენტი

**სამაგისტრო პროგრამა:
ფრანგული ენა და ლიტერატურა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ენისა და ლიტერატურაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ჟორჟოლიანი,
ასოცირებული პროფესორი ლია ნოზაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 2-21-82; 893260107.

E-mail: catherine_jorj@yahoo.fr, eurokutaisi@posta.ge.

ქუთაისი
2008

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

სამაგისტრო პროგრამა ფრანგულ ენასა და ლიტერატურაში გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შექმნილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა ცოდნა ფრანგული ენისა და ლიტერატურის განვითარების თავისებურებების შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ანალოგიური სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

კურსდამთავრებული შეძლებს სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას დოქტორანტურაში, პედაგოგიურ მოღვაწეობას შესაბამისი პროფილით, ანალიტიკურ საქმიანობას სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ფორმატში მაგისტრმა უნდა დაამუშაოს შემოთავაზებული სასწავლო კურსები და დააგროვოს კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აუცილებელი 120 ECTS-კრედიტი.

კრედიტების გადანაწილების ხვედრითი წილი შემდეგია:

სემესტრი	ECTS – ის ხვედრითი წილი სასწავლო კურსის ტიპის მოხედვით	სულ
I სემესტრი	სავალდებულო კურსები და მოდულები – 25 არჩევითი კურსები - 10	35 ECTS კრედიტი
II სემესტრი	სავალდებულო კურსები და მოდულები – 20 არჩევითი კურსები – 10 საკურსო ნაშრომი - 5	35 ECTS კრედიტი
III სემესტრი	სავალდებულო კურსები და მოდულები – 20 არჩევითი კურსები – 5 პედ. პრაქტიკა - 5	30 ECTS კრედიტი

IV სემესტრი	სამაგისტრო შრომა – 30	30 ECTS კრედიტი
		სულ 130 ECTS კრედიტი

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტ ების საერთო რაოდენ ობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი	სავალდებულო	15	5	5	5	
2	მეორე უცხო ენა	სავალდებულო	10	5	5		
	მოდული: ფრანგული ენის თეორია:	სავალდებულო					
3	ფრანგული ენის ფონემური ანალიზი	სავალდებულო	5	5			
4	კონტრასტივიკა	სავალდებულო	5		5		
5	ტექსტის ლინგვისტიკის საფუძვლები	სავალდებულო	5			5	
6	ფრანგული ენის სტილისტიკა	სავალდებულო	5			5	
7	თანამედროვე სინტაქსური თეორიები	სავალდებულო	5			5	
	მოდული: ფრანგული: ლიტერატურის ისტორია	სავალდებულო					
8	ფრანგული რომანის ისტორიული პოეტიკა	სავალდებულო	5	5			
9	XX საუკუნის ფრანგული რომანი	სავალდებულო	5	5			
10	ფრანგული დრამის ისტორიული პოეტიკა	სავალდებულო	5		5		
11	XX საუკუნის ფრანგული დრამა	სავალდებულო	5		5		
	ფრანგული ლირიკის ისტორიული	სავალდებულო	5			5	

1 2	პოეტიკა						
1 3	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	5			5	
1 4	ლინგვისტური პრაგმატიკა	არჩევითი					
1 5	ლინგვისტური სემიოტიკა	არჩევითი					
1 6	თარგმანის ლინგვისტური პრობლემები	არჩევითი					
1 7	სოციოლინგვისტიკა	არჩევითი					
1 8	ლინგვისტური სემანტიკა	არჩევითი					
1 9	სპეცკურსი მწერალზე	არჩევითი					
2 0	დას.ევროპული კრიტიკა და ლიტმცოდნეობა	არჩევითი	5			5	
2 1	XX საუკუნის ფრანგული პოეზია	არჩევითი					
2 2	ჰერმენევტიკა	არჩევითი					
2 3	საფრანგეთის ისტორია	არჩევითი					
2 4	საგანმანათლებლო სისტემები	არჩევითი	5			5	
2 5	განათლების ისტორია	არჩევითი	5	5			
2 6	განათლების ფსიქოლოგია	არჩევითი	5	5			
2 7	პედაგოგიკის კვლევის მეთოდოლოგია	არჩევითი	5			5	
2 8	საკურსო ნაშრომი		5			5	
2 9	სამაგისტრო ნაშრომი		30				30
3 0	პედ.პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში		5			5	
	სულ		130	35	40		

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.